

## კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის

"გრიგოლ კვიციანიძის სახელობის პრემია ლიტერატურის მცოდნეობის დარგში"

„გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია ლიტერატურის მცოდნეობითი თარგმანის დარგში“

### დებულება

1. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA) საქართველოს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო ნაშრომისათვის ლიტერატურის მცოდნეობის სფეროში და ამავე დარგში შესრულებული საუკეთესო თარგმანისათვის, ორ წელიწადში ერთხელ, ანიჭებს გრიგოლ კვიციანიძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემიებს.
2. პრემიის მინიჭება ხდება საექსპერტო კომისიის წარდგინებით, დადგენილ ვადებში;
3. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია ორი თვით ადრე საჯაროდ აქვეყნებს სათანადო განცხადებას, ხოლო მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნას ერთი თვის ვადაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა;
4. „გრიგოლ კვიციანიძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:
  - ა) სამეცნიერო მონოგრაფია (ითვალისწინებს სამეცნიერო მონოგრაფიისათვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს – ციტირების სტილი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები, დამოწმებული ლიტერატურა და სხვა);
  - ბ) სამეცნიერო სტატია (ითვალისწინებს სამეცნიერო სტატიისათვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს – ციტირების სტილი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები, დამოწმებული ლიტერატურა და სხვა);„გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:
  - ა) სამეცნიერო თარგმანი (ქართულიდან უცხო ენაზე, კომენტარების გათვალისწინებით. თარგმანთან ერთად სავალდებულოა ორიგინალის ტექსტის წარმოდგენაც)
  - ბ) სამეცნიერო თარგმანი (უცხო ენიდან ქართულ ენაზე, კომენტარების გათვალისწინებით. თარგმანთან ერთად სავალდებულოა ორიგინალის ტექსტის წარმოდგენაც)
5. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას:
  - ა) ცალკეულ ავტორთა ნაშრომები;
  - ბ) ავტორთა ჯგუფის მიერ დაწერილი ნაშრომები (ამ შემთხვევაში, პრემია თანაბრად განაწილდება ავტორთა შორის);
  - გ) პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.
6. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას წინა 2 წელიწადში გამოცემული შრომები;

7. ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სხვა რომელიმე პრემია, გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად არ მიიღება;
8. ერთსა და იმავე პირზე პრემიები განმეორებით არ გაიცემა;
9. პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომის წარმოდგენა შეუძლია:
  - ა) ავტორს;
  - ბ) გამომცემლობას;
  - გ) ორგანიზაციას.
10. პრემიების მაძიებელმა კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის საორგანიზაციო კომიტეტში უნდა წარმოადგინოს:
  - ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი (სამ ცალად);
  - ბ) ავტორის (ან ავტორთა) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)
  - გ) განცხადება იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს არ ჰქონია მინიჭებული ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პრემია;
  11. საკონკურსოდ შემოსული ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებს ადგენს და პრემიის მისანიჭებლად კანდიდატებს არჩევს კომისია, რომელიც შედგება დარგის ექსპერტებისგან (სულ – ხუთი წევრი);
  12. ექსპერტებს დარგის სპეციალისტებისაგან ირჩევს და ამტკიცებს კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) წევრებისაგან შერჩეული სამუშაო ჯგუფი, რომელიც გამოსცემს შესაბამის დადგენილებას;
  13. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, წევრები და მდივანი, რომელიც მიიღებს და რეგისტრაციაში გაატარებს საკონკურსო ნაშრომებს;
  14. ექსპერტი არ შეიძლება იყოს პრემიის მაძიებელი ან სხვა დაინტერესებული პირი;
  15. ასევე, თუ პრემიის ერთ-ერთი პრეტენდენტი არის კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) წევრი, იგი არ მონაწილეობს პრემიასთან დაკავშირებულ იურიდიულ პროცედურებში;
  16. ექსპერტთა მიერ რეკომენდებული ნაშრომებისათვის პრემიის მინიჭება ხდება კომისიის სხდომაზე ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამ;
  17. კომისიის გადაწყვეტილებას ამტკიცებს კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) სამუშაო ჯგუფი;
  18. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA) საჯაროდ აქვეყნებს ცნობას პრემიის მინიჭების შესახებ;
  19. პრემიით დაჯილდოებული შრომის ავტორს (ავტორებს)            მიეცემა შესაბამისი დიპლომი.
  20. ნაშრომები, რომელთაც პრემია არ მიენიჭათ, ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.